2. სამომავლო ხელშეკრულების დადების ვალდებულება არ წარმოიშობება, თუ რომელიმე მხარეს ექნება შესაძლებლობა იგივე საგანზე ხელშეკრულება საკუთარი შეხედულებისამებრ უკეთესი პირობებით დადოს სხვა სუბიექტთან, ან იარსებებს სხვა ისეთი ობიექტური გარემოება, რის გამოც თითოეულ მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების დადება. სამომავლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნება ტელემაუწყებლის უფლება ცალმხრივად შეწყვიტოს სამომავლო ხელშეკრულება ან შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს სამომავლო ხელშეკრულებაში იმ შემთხვევაში თუ, ტელემაუწყებელი, თავისი კონტენტის გავრცელების მიზნით, მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივი მულტიპლექსპლატფორმის ფორმირებაში ან გადაწყვეტს ისარგებლოს ბაზარზე ხელმისაწვდომი სხვა ადგილობრივი მულტიპლექსპლატფორმის ოპერატორის მომსახურებით.
3. იმ შემთხვევაში თუ ტელემაუწყებელი ანალოგიური შინაარსის წინარე ხელშეკრულებას დადებს სხვა პირთან, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ კომპანიას.
4. ტელემაუწყებელი აცხადებს, რომ აქვს შესაბამისი მაუწყებლობის განხორციელების ლიცენზია ან/და წარმოადგენს ავტორიზებულ პირს.
5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა კომპანიას, ხოლო ერთი ტელემაუწყებელს.

მხარეთა მონაცემები და ხელმოწერები

კომპანია:

შპს „მუქსი“ (ს/კ 405044955)

დირექტორი: იზაბელა გუტიძე

ტელემაუწყებელი:

შპს „იმპერია“ (ს/კ 224 067 907)

დირექტორი: მაია იველაშვილი



წინარე ხელშეკრულება

18 მაისი 2014

თბილისი

ერთის მხრივ, შპს „მუქსი“ (შემდგომში - „კომპანია“), წარმოდგენილი დირექტორის, იზაბელა გუტის მიერ, ხოლო მეორეს მხრივ, შპს „ტელეარხი-25“ (შემდგომში „ტელემაუწყებელი“) წარმოდგენილი დირექტორის გიორგი სურმანიძის მიერ ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები იღებენ ვალდებულებას მომავალში დადონ ხელშეკრულება (შემდგომში - სამომავლო ხელშეკრულება), ტელემაუწყებლის მიერ წარმოებული სატელევიზიო კონტენტის ღია ეთერით ან მომხმარებელთათვის უფასოდ, კრიპტო-კოდირებული ფორმით ეროვნულ დონეზე გავრცელების შესახებ.

მუხლი 2. სამომავლო ხელშეკრულების პირობები

1. სამომავლო ხელშეკრულებით კომპანია იკისრებს ვალდებულებას გაავრცელოს ტელემაუწყებლის მიერ წარმოებული სატელევიზიო კონტენტი ღია ეთერით ან მომხმარებელთათვის უფასოდ, კრიპტო-კოდირებული ფორმით.
2. სატელევიზიო კონტენტის გავრცელების სანაცვლოდ ტელემაუწყებელი სამომავლო ხელშეკრულებით იკისრებს ვალდებულებას ყოველთვიურად გადაიხადოს მომსახურების საფასური, რომლის ოდენობა, გადახდის ვადა და წესი განსაზღვრული იქნება სამომავლო ხელშეკრულებით.
3. სამომავლო ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების საფასურის ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს კომპანიის მიერ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად წარდგენილ საკონკურსო წინადადებაში 1 მგზ/წმ-ით გავრცელების ყოველთვიურ ზედა (მაქსიმალურ) ტარიფს.
4. სამომავლო ხელშეკრულება დადებულ უნდა იქნეს კომპანიის მიერ ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მოპოვებიდან 2016 წლის 1 იანვრამდე.

მუხლი 3. დასკვნითი დებულებები

1. სამომავლო ხელშეკრულების დადების ვალდებულება წარმოიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია გაიმარჯვებს ციფრული მიწისზედა სატელევიზიო ქსელის უზრუნველსაყოფად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში და შესაბამისად იგი მოიპოვებს ლიცენზიას.
2. სამომავლო ხელშეკრულების დადების ვალდებულება არ წარმოიშვება, თუ რომელიმე მხარეს ექნება შესაძლებლობა იგივე საგანზე ხელშეკრულება უკეთესი პირობებით დადოს სხვა სუბიექტთან, ან იარსებებს სხვა ისეთი ობიექტური გარემოება, რის გამოც თითოეულ მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების დადება.
3. იმ შემთხვევაში თუ ტელემაუწყებელი ანალოგიური შინაარსის წინარე ხელშეკრულებას დადებს სხვა პირთან, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ კომპანიას.
4. ტელემაუწყებელი აცხადებს, რომ აქვს შესაბამისი მაუწყებლობის განხორციელების ლიცენზია ან/და წარმოადგენს ავტორიზებულ პირს.
5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა კომპანიას, ხოლო ერთი ტელემაუწყებელს.

მხარეთა მონაცემები და ხელმოწერები

კომპანია:
შპს „მუქსი“ (ს/კ 405044955)

ტელემაუწყებელი:
შპს „ტელეარხი-25“ (ს/კ 245414680)

დირექტორი: იზაბელა გუტიძე

დირექტორი: გიორგი სურმანიძე



ლიცენზიის მამიებელი: შპს „მუქსი“.

ტექნიკური წინადადების რეზიუმე

წარდგენილი ტექნიკური წინადადება მოიცავს არჩეული ტექნოლოგიების მიმოხილვას და პროექტის რეალიზაციის კონკრეტულ გეგმებს.

ძირითადი დისტრიბუციის ქსელად არჩეულია რადიო-სარელეო კავშირის ქსელი, სათადარიგოდ თანამგზავრული კავშირი. დართულია რადიო-სარელეო სადგურების განთავსების სავარაუდო დეტალური გეგმა. მნიშვნელოვან სადგურებზე, სადაც კი შესაძლებელია, დუბლირება ბოჭკოვანი კავშირით.

დოკუმენტი შეიცავს:

- MUX-A ფარგლებში შემავალი ძირითადი ტექნოლოგიების აღწერები
- ქსელის მოდელის არქიტექტურის აღწერა
- მულტიპლექსის ფორმირების დეტალურ გეგმა-განრიგს
 - ქსელის დაგეგმარება
 - აპარატურის შესყიდვა - ჩამოტანა
 - მონტაჟი
 - კონფიგურაცია
 - ტესტირება
 - ექსპუატაციაში გაშვება
 - ჩრდილოვანი ზონების (გეგ-ფილერების) მონტაჟის ვადები.
- ძირითადი გადამცემი სადგურების განთავსების სავარაუდო ადგილები.
- ინფორმაცია გადამცემი და დისტრიბუციის ქსელის აგების სავარაუდო კაპიტალური და საოპერციო ხარჯების შესახებ

დირექტორი:

იზაბელა გუტიძე



შპს მუქსი

პროექტის ტექნიკური სპეციფიკაცია

2014 წლის 28 მაისი

ინგლისურ-ქართული ტერმინოლოგია

- Multiplex (MUX) - მულტიპლექსი ანუ მუქსი. ციფრული მაუწყებლობის კომპლექსი.
- Digital Terrestrial Transmission (DTT) - ციფრული მიწისზედა მაუწყებლობა
- Digital SwitchOver (DSO) - ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი
- Analog Switch Off (ASO) - ანალოგური მაუწყებლობის გამორთვა, გამორთვის თარიღი.
- DTT-T/T2 - ციფრული ქსელის ტიპები. T და T2 განსხვავებული ტიპია, დოკუმენტში ყველგან იგულისხმება T2
- HeadEnd - თავი-ბოლო, ანუ სათაო სადგური
- Encoder - ინკოდერი (მოწყობილობა), რომელიც აწარმოებს სიგნალის კომპრესიას.
- Multiplexer - მულტიპლექსერი (მოწყობილობა), ართიანებს რამდენიმე კომპრესირებულ მედია ნაკადს და აწარმოებს დამატებით სერვისებს.
- EPG - პროგრამის ელექტრონული გიდი, მეტა მონაცემების სისტემა.
- Master Sync Clock (MSC) generator - დროის სიგნალის გენერატორი (მოწყობილობა)
- Conditional Access System (CAS) - პირობითი წვდომის სისტემა, ანუ მედია ნაკადების კოდირება-დეკოდირების სისტემა
- Subscriber Management System (SMS) - მომხმარებელთა მართვის სისტემები
- Simple Network Management Protocol (SNMP) - მართვის ქსელური პროტოკოლი, პროგრამული სისტემა მოწყობილობათა და სერვისების სამართავად.
- Program Specific Information (PSI) - სატრანსპორტო ნაკადის მეტამონაცემები (Metadata), რომელიც შეიძლება შეიცავდეს PAT, CAT, NIT და სხვა მონაცემებს.
- System Information (SI) - სისტემური ინფორმაციის გადაცემის სერვისი
- Link Budget - არის გადამ-მიმღები მოწყობილობების (კაბელი, ანტენა, გადამცემი, ფიდერი, მიმღები და ა.შ) მუშაობის დროს სიმძლავრის დანაკარგების გათვალისწინებით გააგრძელებული კავშირის საიმედოობის კოეფიციენტი. რის საფუძველზე შამდგომ მოწყობილობების შერჩევა ხდება
- Service Level Guarantee (SLG) - სერვისების მდგრადობის დონე
- Gap filler - ძირითადი გადამცემების დაფარვის ზონის მიღმა, ჩრდილოვანი ზონების შესავსებად მომუშავე, შედარებით მცირე სიმძლავრის გადამცემი სადგური, რეპიტერი.
- Multiple Program Transport Stream (MPTS) - მულტი პროგრამული სატრანსპორტო ნაკადი.
- Variable Bit Rate (VBR) - მონაცემთა ცვლადი სიჩქარეებით კოდირების მეთოდი
- Constant Bit Rate (CBR) - მონაცემთა კოდირება მუდმივი სიჩქარით.
- Physical Layer Pipe (PLP) - DVB-T2 გადაცემაში არსებული ფიზიკური დონის მილი ან არხი. ერთ მულტიპლექსში შეიძლება არსებობდეს 255-მდე PLP.

სარჩევი


1. ქსელის დაგეგმარება და მიწისზედა სამაუწყებლო ციფრული ქსელის არქიტექტურა
 - 1.1. მიმოხილვა
 - 1.2. დასაფარი ტერიტორიების დაგეგმარება
 - 1.2.1. DVB-T/T2 - ის დაგეგმილი პარამეტრები
 - 1.3. გადამცემების ლოკაციების (საიტების) განთავსების სია
 - 1.4. გადამცემი საანტენო-საფიდერო სისტემები
 - 1.4.1. ანტენების გასხივების დიაგრამები
 - 1.4.2. გარემოს პირობები
2. ქსელის ინფრასტრუქტურა
 - 2.1. მიმოხილვა
 - 2.2. ინფრასტრუქტურის ტექნიკური მიმოხილვა
 - 2.2.1. ანტენების სისტემები
 - 2.2.2. აპარატურისათვის საჭირო ფართები
 - 2.2.3. ელექტრო კვების წყაროები და დამცველ-გამანაწილებელი ფარები
3. გადამცემთა სისტემები
 - 3.1. მიმოხილვა
 - 3.1.1. გადამცემთა აგებულების კონცეპტი
 - 3.1.2. განსაზღვრებები
 - 3.1.3. გადამცემთა სისტემების ეფექტურობა (ენერგო მოხმარება და გაბნეული სიბრტე)
 - 3.2. გადამცემების ტექნიკური ჩამონათვალი (სიმძლავრე, დუბლირება, გაგრილება)
4. სათაო სადგურის დიზაინი
 - 4.1. შესავალი
 - 4.2. სისტემისა და სერვისების მოთხოვნები
 - 4.2.1. ბაზრებზე გამოყენებული ოპტიმალური ბიტ-რეიტების მიმოხილვა
 - 4.2.2. H.264 ინკოდერები და მულტიპლექსერები
 - 4.2.3. სუბტიტრების ციფრული გადაცემის სისტემები
 - 4.2.4. ადგილობრივი/რეგიონალური კონტენტის ჩამატება
 - 4.2.5. პროგრამის ელექტრონული გიდი EPG
 - 4.2.6. დროის სიგნალის (Master Sync Clock MSC) და საყრდენი სიხშირის გენერატორი
 - 4.2.7. პირობითი წვდომის სისტემა (CAS)
 - 4.2.8. მომხმარებელთა მართვის სისტემები (SMS)
 - 4.2.9. 24/7 ლოგირების სისტემა
 - 4.2.10. დუბლირების დონის მოთხოვნები
 - 4.3. მოწყობილობების მართვა
 - 4.3.1. SNMP მართვა

- 4.4. Head End სისტემის ტექნიკური აღწერილობა
 - 4.4.1. ინკოდერების მახასიათებლები
 - 4.4.2. მულტიპლექსერის მახასიათებლები
 - 4.4.3. ადგილობრივი კონტენტის ჩამატების მახასიათებლები
 - 4.4.4. PSI მახასიათებლები
 - 4.4.5. EIT ტაბულა
 - 4.4.6. DSM-CC carousel მახასიათებელი
 - 4.4.7. ციფრული ტელეტექსტისა და სუბტიტრების გადამცემი სისტემა
 - 4.4.8. საათის სინქრო სიგნალისა და სიხშირის გენერატორი
 - 4.4.9. Baseband სისტემების მონიტორინგი
 - 4.4.10. სატრანსპორტო ნაკადების მონიტორინგი
- 4.5. დასაკმაყოფილებელი სტანდარტების სია
- 4.6. მოცემული სისტემის რაოდენობრივი შეფასება
- 5. გარველების ქსელის დიზაინი
 - 5.1. მიმოხილვა
 - 5.2. დიზაინის კრიტერიუმები, წინაპირობები
 - 5.2.1. ქსელის ტოპოლოგია
 - 5.2.2. ფიზიკური სატრანსპორტო შრე
 - 5.2.3. სარელეო ინფრასტრუქტურა
 - 5.2.4. სარელეო წყვილების რაოდენობა
 - 5.3. დისტრიბუციის პლატფორმა
 - 5.4. ქსელის სინქრონიზაცია და შეთანხმება
 - 5.4.1. ქსელის სინქრონიზაცია
 - 5.4.2. დროის გადაცემის პარამეტრები
 - 5.5. სამართავი ქსელი და მონიტორინგი
- 6. ქსელის მართვის ცენტრი
 - 6.1. ქსელის მართვის სისტემა
 - 6.2. სერვისების მონიტორინგი და სერვისების მდგრადობის (SLA) დადგენა
 - 6.3. სერვისების მონიტორინგი
 - 6.4. ინციდენტების მონიტორინგი
 - 6.5. Availability ანუ სტაბილურობის დონე
 - 6.6. Reporting ანუ ხდომილებებზე ინფორმაციის მიწოდება

1. ქსელის დაგეგმარება და მიწისზედა სამაუწყებლო ციფრული ქსელის არქიტექტურა

1.1. მიმოხილვა

საქართველოს ციფრული მაუწყებლობის კონცეფციის შესაბამისად მაუწყებლობა იგეგმება DVB-T2 H.264 (MPEG4) სტანდარტში. 33.1 Mbit/s გამტარუნარიანობის დასაკმაყოფილებლად შეირჩა პარამეტრები: 256-QAM (NON rotated), 32kE, CR 3/4, CI 1/4.



სურ. 1: ციფრული ქსელის არქიტექტურა

ქსელის კომპონენტებზე უფრო დეტალური ინფორმაცია მოცემულია შესაბამის სექციებში; Headend, სადისტრიბუციო ქსელი, გადამცემები და ანტენების სისტემები.

სისტემის სერვისების მდგრადობის დონე (SL), MUX A და MUX A+1 ვარიანტებში ექვემდებარება რეპორტირებს, ანუ აქტუალური ინფორმაციის მიწოდებას, სისტემაში არსებული სათაო სადგურისა და გადამცემების მონიტორინგის სისტემების საშუალებით.

1.2. დასაფარი ტერიტორიების დაგეგმარება

1.2.1. DVB-T/T2 დაგეგმილი პარამეტრები

შეირჩა ქვემოთ მოცემული DVB-T2 პარამეტრები რათა მიგველო საიმედო დაფარვა, საკმარისი სატელევიზიო არხების გატარება და დიდი SFN ზონების აგების საშუალება (MUX A+1 შემთხვევაში).

FFT Size	32KE
Bandwidth	8 MHz
Pilot Pattern	PP2
Modulation	256QAM
Guard interval	1/8
Code Rate	2/3

* ველის დაძაბულობის კრიტერიუმი მოცემულია სახურავის ანტენისათვის (10 მ სიმაღლე) საშუალო დეციმეტრულ სიხშირეზე UHF 634MHz, ლოკაციებზე 70% და 95% ცვალებადობების კორექციების გათვალისწინებით. ფორმულას დაემატება სიხშირეზე დამოკიდებული შესწორების ფაქტორი $20 \log(f/634)$ სადაც f არის არხის ცენტრალური სიხშირე მეგაგრეცებში MHz.

1.3. გადამცემების ლოკაციების (საიტების) განთავსების სია

გადამცემების სადგურები და ანძები ეკუთვნის ტელე რადიო ცენტრს (TRC), მოცემული სია იმეორებს 4.2 პარაგრაფის სიას.

ანძის მდებარეობა, სახელი / Site	გრძელი	განედი
1. ქუთაისი	42,7365	42,2803
2. თბილისი	44,7851	41,6958
3. გორი	44,0475	42,0322
4. ახალქალაქი	43,4261	41,3478
5. ბათუმი	41,7154	41,6938
6. ყვარელი	45,8282	41,9064
7. ღმანისი	44,2146	41,3777
8. ახალციხე	42,957	41,6301
9. ფოთი	41,7009	42,1879
10. ზუგდიდი	41,886	42,5022
11. ბოლნისი	44,5382	41,4669
12. დედოფლისწყარო	46,1363	41,4669
13. ჭიათურა	43,2611	42,2878
14. ბორჯომი	43,3835	41,824
15. ბეკამი(ხაშური)	43,5609	42,0025
16. საჩხერე	43,4043	42,3488
17. ოზურგეთი	41,993	41,9137
18. ჩოხატაური	42,2304	41,9939
19. შუახევი	42,1899	41,6493
20. ხულო	42,3429	41,6398

21. ჩხოროწყუ	42,1032	42,5294
22. წალენჯიხა	42,0626	42,6167
23. ჯვარი(ჯვარზენი)	42,0566	42,7254
24. მესტია	42,7943	43,0355
25. ლენტეხი	42,7649	42,7753
26. ლაგოდეხი	46,1714	41,8118
27. სიღნაღი	45,891	41,6208
28. ცაგერი	42,7572	42,6494
29. ცივი(თელავი)	45,4098	41,8703
30. წალკა	44,2386	41,635
31. დუშეთი	44,6566	42,002
32. ონი	43,4291	42,5795
33. ამბროლაური	43,1644	42,5139
34. ყაზბეგი	44,6119	42,6254
35. თიანეთი	44,9485	42,102
36. ტყიბული	43,0389	42,3741
37. ბაკურიანი	43,5537	41,7357
38. ქედა	41,923	41,5986
39. აბასთუმანი	42,8245	41,7531
40. ასპინძა	43,2028	41,5682
41. ნინოწმინდა	43,5886	41,267
42. საგარეჯო	45,2881	41,728

ძირითადი გადამცემების დაფარვის ზონებს მიღმა მყოფი მოსახლეობისათვის მეორე ეტაპზე დამონტაჟდება ე.წ. გეფ-ფილერები (gap filler).

1.4. გადამცემი საანტენო-საფიდერო სისტემები

ანტენების სისტემების დაგეგმარება ეფუძნება მე-4 განყოფილების მონაცემებს. დაგეგმილია პანელის ტიპის ანტენების და მათგან შემდგარი ჯგუფების გამოყენება. პანელის ტიპის ანტენა სიხშირულად შეესაბამება დეციმეტრული სპექტრის (UHF) მთლიან დიაპაზონს, გააჩნია კარგი ფასი/ხარისხის შეფარდება, იკავებს შედარებით მცირე ადგილს ანძაზე და გამოდგება ნებისმიერ კლიმატურ პირობებში.

1.4.1. ანტენების გასხივების დიაგრამები

საქართველოში განსაზღვრულია გასხივების ჰორიზონტალური პოლარიზაცია.

ანტენების გასხივების დიაგრამები გათვლილია ყველაზე მნიშვნელოვანი ზონების დასაფარავად და უზრუნველყოფს სატელევიზიო სიგნალის კარგ მიღებას როგორც მოსახლეობის ასევე ტერიტორიის კუთხით. გასხივებული სიმძლავრეები შეზღუდულია კონკრეტული სახელმწიფო მოცემულობით და საერთაშორისო სტანდარტებით.

მაღალი გეოგრაფიული მდებარეობის საიტების შემთხვევაში გათვალისწინებულია ანტენების გასხივების მექანიკური და/ან ელექტრული კორექტირება, რათა მოხდეს გასხივების მიმართვა მოსახლეობისაკენ და არა ჰორიზონტს მიღმა. იმ შემთხვევებში სადაც საიტი ახლოა მოსახლეობასთან გათვალისწინებულია ანტენის გასხივების ვერტიკალური ლიმიტის კომპენსაცია მიღების კარგი ხარისხის შესანარჩუნებლად.

1.4.2. გარემოს პირობები

გადამცემების ზოგიერთი ლოკაცია მდებარეობს განსაკუთრებულ კლიმატურ ზონაში, რაც აისახება ანტენების დიზაინზე. ზღვის დონიდან მაღალი მდებარეობის ლოკაციებზე შესაძლოა ანტენების მოყინვა და ყინულის ვარდნა. ანძის ფორმა (კვადრატული, სამკუთხა, მრგვალი) და ასევე მისი დიამეტრი და ხელმისაწვდომი ადგილი ხანდახან ამცირებს ანტენის ტიპებისა და ზომების არჩევანს. დაგეგმარების ამ ეტაპზე წონის დატვირთვები ანძებზე, ასევე ქარისა თუ ყინულის გავლენა ამ ეტაპზე არ განიხილება. ეს მოხდება პროექტის დეტალური დაგეგმარების ფაზაში.

2. ქსელის ინფრასტრუქტურა

2.1. ზოგადი მიმოხილვა

ლოკაციებზე ამჟამად არსებული ინფრასტრუქტურა შესწავლილია ჩვენს მიერ. ასევე დაგეგმილია მჭიდრო თანამშრომლობა ტელერადიო ცენტრთან, რადგან ასაშენებელი ქსელის ინფრასტრუქტურა გამოიყენებს მათ ანძებს. ინფორმაცია ამის შესახებ მოცემულია 1.3 პარაგრაფში. შპს მუქსი გამოიყენებს რუსთავი2-ის არსებულ ინფრასტრუქტურას ტელერადიო ცენტრის ანძებზე, რომლითაც ხორციელდება ანალოგური მაუწყებლობა. ასევე ფართებისა და რესურსების გამოყენების/ჭირავნობის მოქმედ ხელშეკრულებებს.

ამ ეტაპზე ტექნიკური დავალება არ შეიცავს ყველა საიტის ზუსტ ტექ. აღწერილობებს. მაგრამ ცხადია, რომ არსებული ინფრასტრუქტურა საკმარისია. ყველა საიტის ზუსტი ტექნიკური დაგეგმარება მოხდება პროექტის რეალიზაციის ეტაპზე.

2.2. ინფრასტრუქტურის ტექნიკური მიმოხილვა

2.2.1. ანტენების სისტემები

ზოგადად არსებული ანტენების გამოყენება ხშირ შემთხვევაში არ იგეგმება, ახალი ანტენები დასაგეგმი და დასამონტაჟებელი. ახალი ანტენები უფრო მეტად შეესაბამება UHF სიხშირულ დიაპაზონს და გასასხივებელი სიმძლავრის მახასიათებელიც უფრო ადეკვატურია. ზოგიერთ საიტებზე არსებული ანტენების გამოყენება შესაძლებელია, მათი ციფრული მაუწყებლობისათვის შესაბამისად მოდიფიკაციის გზით. იხილეთ ასევე პარაგრაფი 1.4

ტელერადიო ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მათ ანძებზე, ყველა საიტზე, საკმარისია ადგილი ახალი ანტენების დასამონტაჟებლად (ან ადგილი გაჩნდება არსებული ანალოგური ანტენების დემონტაჟის შემდეგ). ზოგიერთ ანძაზე ადგილი ზედა ზონებში შეზღუდულია, რაც გათვალისწინებულია გეგმაში.

2.2.2. აპარატურისათვის საჭირო ფართები

საიტებზე საკმარისია ადგილი ახალი ციფრული აპარატურის დასამონტაჟებლად, ანუ ახალი გადამცემები, ფილტრები და სხვა აპარატურა შეიძლება დამონტაჟდეს არსებულ შენობებში.

2.2.2.1. გაგრილების სისტემები

რადგან უმეტეს შემთხვევებში არ არსებობს ცენტრალური გაგრილება და ვენტილაცია, რუსთავი2-ს უკვე დამონტაჟებული აქვს არსებული აპარატურის გაგრილება-ვენტილაციის სისტემები (რომელსაც გამოიყენებს შპს მუქსი), რომელთა გამოყენება დაგეგმილია ახალი აპარატურისათვის ან არსებული ან/და მოდიფიცირებული სახით. დაგეგმილია როგორც თხევადი ისე ჰაერით გაგრილების გადამცემების გამოყენება, შესაბამისად მათი სიმძლავრისა.

2.2.3. ელექტრო კვების წყაროები და დამცველ-გამანაწილებელი ფარები

ჩვენი და ტელერადიო ცენტრის მონაცემებით, თითქმის ყველა საიტზე არსებული ტრანსფორმატორებისა და მთავარი ელექტრო ფარების სიმძლავრე საკმარისია ახალი აპარატურის დასამონტაჟებლად. საიტების დეტალური დაგეგმარების ეტაპზე მთელი არსებული ელექტრო ინფრასტრუქტურა კიდევ ერთხელ შემოწმდება. ზოგიერთ ადგილზე შესაძლებელია გახდეს საჭირო ამ ინფრასტრუქტურის მოდიფიკაცია.

2.2.3.1. ელექტრო გამანაწილებელი ფარები

არსებული ელექტრო გამანაწილებელი ფარები შესაძლებელია გაფართოვდეს ახალი ციფრული აპარატურის შესაერთებლად საიტების უმეტესობაში. თუმცა ზოგიერთ საიტზე საჭირო გახდება ახალი ფარების მონტაჟი.

2.2.3.2. UPS უწყვეტი კვების წყაროები

რუსთავი2-ს უკვე გააჩნია საიტებზე დამონტაჟებული UPS-ები (რომელსაც გამოიყენებს შპს მუქსი), საკმარისი არსებული ანალოგური ტექნიკისათვის. ამ UPS-ების უმეტესობას აქვს საკმარისი სიმძლავრის რესურსი ციფრული ტექნიკის ჩასართავად, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სიმძლავრე გასაზრდელია. უწყვეტი კვება გათვლილია შემდეგი აპარატურისათვის:

- სათაო სადგური
- დისტრიბუციის ქსელის ტექნიკა
- გადამცემის მოდულატორი და კონტროლერი
- გადამცემის ძალოვანი ნაწილი
- გადამცემის თხევადი გაგრილების სისტემა

2.2.3.3. სათადარიგო კვების წყარო

საიტების უმეტესობაზე რუსთავი2-ს გააჩნია საიტებზე დამონტაჟებული ელექტრო გენერატორები (რომელსაც გამოიყენებს შპს მუქსი). მათი გარკვეული ნაწილი შეიცვლება დაბალი სიმძლავრის ბენზინის ძრავების დიზელით შეცვლის მიზნით. ყველა გენერატორის კომპლექტში შედის ავტომატური დაქოქვა/გამორთვის სქემები.

ზოგადად, უწვეტი კვების წყაროებისა და გენერატორების არსებობა განპირობებულია მაღალი დონის SLA სტანდარტის შესაბამისობის მიზნით, იხ. პარაგრაფი 4.1.

3. გადამცემი სისტემები

3.1.1. მიმოხილვა


გადამცემი სისტემა მიიღებს IP ან ASI სიგნალს დისტრიბუციის ქსელიდან. T2 გეიტვეიდან გენერირებული T2-MI ფორმატის სიგნალი მიეწოდება მთავარ გადამცემებს, ანუ იმათ რომლებიც არ არიან გამამეორებელი რეტრანსლატორები (რეპიტერები).

შემავალი სიგნალი გარდაიქმნება RF სიხშირის სიგნალად და მიეწოდება გადამცემ ანტენას „მასკ“ ფილტრისა და მყარი ან ნახევრადმყარი ფიდეურული არხების(სადენების) მეშვეობით.


რეპიტერის (გამამეორებელის) შემთხვევაში გადამცემი სისტემის შემავალი სიგნალი არის RF სიგნალი, რომელიც ჩამოკონვერტირდება, გაძლიერდება და ისევ დაკონვერტირდება ახალ გადამცემ RF სიხშირეზე.

მუქს A-ს ექნება საკუთარი გადამცემი სისტემა, ავტონომიური გაგრილებისა და მონიტორინგით. * (GPS მიმღები ან სინქრონიზაცია დისტრიბუციის ქსელიდან დაემატება საჭიროების შემთხვევაში) * მონიტორინგის მხარდაჭერა შერჩეულია მხოლოდ 1 და 2 ლოკაციის კატეგორიებისთვის, სხვა ლოკაციებზე სუბიექტური მონიტორინგი ხორციელდება.

შესაძლებელი იქნება დისტანციური მართვის განხორციელება. ასევე შესაბამისი ტექნოლოგიით განახორციელება მთლიანი ქსელის მონიტორინგი.



ნახაზი 2 მთავარ ლოკაციაზე გადამცემი სისტემის ბლოკ-დიაგრამა




ნახაზი 3 რეპიტერის ლოკაციაზე გადამცემი სისტემის ბლოკ-დიაგრამა

3.1.2. გადამცემის აგებულების კონცეპტი.

ლოკაციები ოთხ სხვადასხვა კლასებადაა კატეგორიზირებული.

1 კატეგორიის ლოკაციებს აქვთ კომპონენტების დუბლირება გადამცემ კონფიგურაციაში (ორმაგი მოდულატორები).

2 - 4 კატეგორიის ლოკაციებიდან ცალკეულ ლოკაციებს აქვთ სხვადასხვა ტიპის დუბლირების კონფიგურაცია, კერძოდ სათადარიგო დეტალების მარაგით დაწყებული და იმ შემთხვევაში თუ ლოკაცია რთულადაა მისაწვდომი ტექნიკური მომსახურების თვალსაზრისით, სრული დუბლირებით დასრულებული.



ნახაზი 4: საქართველოს მთავარი გადამცემი სადგურები

საიტის კატეგორია	ქალაქი	მოსახლეობის დიაპაზონი	მოსახლეობის რაოდენობა	ადგილმდებარეობა
1	თბილისი	> 50,000	1,171,200	თბილისი
1	ქუთაისი	> 50,000	196,500	იმერეთი
1	ბათუმი	> 50,000	160,000	აჭარა
1	რუსთავი	> 50,000	122,500	ქვემო ქართლი
1	ზუგდიდი	> 50,000	69,600	სამეგრელო / ზედა სვანეთი
2	ფოთი	20,000 > 50,000	47,000	სამეგრელო / ზედა სვანეთი
2	გორი	20,000 > 50,000	46,680	შიდა ქართლი

2	სამტრედია	20,000 > 50,000	29,761	იმერეთი
2	ხაშური	20,000 > 50,000	28,560	შიდა ქართლი
2	სენაკი	20,000 > 50,000	28,082	სამეგრელო / ზედა სვანეთი
2	ზესტაფონი	20,000 > 50,000	24,158	იმერეთი
2	თელავი	20,000 > 50,000	21,800	კახეთი
2	ოზურგეთი	20,000 > 50,000	20,636	გურია
2	მარნეული	20,000 > 50,000	20,065	ქვემო ქართლი
3	კასპი	10,000 > 20,000	19,900	შიდა ქართლი
3	ჭიათურა	10,000 > 20,000	19,587	იმერეთი
3	ახალციხე	10,000 > 20,000	18,452	სამცხე - ჯავახეთი
3	ქობულეთი	10,000 > 20,000	18,302	აჭარა
3	წყალტუბო	10,000 > 20,000	16,841	იმერეთი
3	ბორჯომი	10,000 > 20,000	14,445	სამცხე - ჯავახეთი
3	ტყიბული	10,000 > 20,000	13,800	იმერეთი
3	საგარეჯო	10,000 > 20,000	12,566	კახეთი
3	გარდაბანი	10,000 > 20,000	11,858	ქვემო ქართლი

3	ზონი	10,000 > 20,000	11,315	იმერეთი
3	გურჯაანი	10,000 > 20,000	10,029	კახეთი
4	ბოლნისი	>10,000	9,944	ქვემო ქართლი
4	ანაქალაქი	>10,000	9,802	სამცხე - ჯავახეთი
4	ყვარელი	>10,000	9,045	კახეთი
4	წალენჯიხა	>10,000	8,956	სამეგრელო - ზედა სვანეთი
4	ახმეტა	>10,000	8,571	კახეთი
4	ლანჩხუთი	>10,000	8,000	გურია
4	დედოფლისწუ ყარო	>10,000	7,724	კახეთი
4	მცხეთა	>10,000	7,718	მცხეთა - მთიანეთი
4	დუშეთი	>10,000	7,315	მცხეთა - მთიანეთი
4	ქარელი	>10,000	7,185	შიდა ქართლი
4	საჩხერე	>10,000	7,000	იმერეთი
4	ლაგოდეხი	>10,000	6,875	კახეთი
4	აბაშა	>10,000	6,430	სამეგრელო / ზედა სვანეთი
4	ნინოწმინდა	>10,000	6,287	სამცხე - ჯავახეთი
4	წნორი	>10,000	6,066	კახეთი
4	მარტვილი	>10,000	5,609	სამეგრელო / ზედა სვანეთი
4	ზობი	>10,000	5,604	სამეგრელო / ზედა სვანეთი
4	თერჯოლა	>10,000	5,489	იმერეთი
4	ვალე	>10,000	5,031	სამცხე - ჯავახეთი

4	ჯვარი	>10,000	4,794	სამეგრელო / ზედა სვანეთი
4	ბაღდადი	>10,000	4,724	იმერეთი
4	ვანი	>10,000	4,641	იმერეთი
4	თეთრი წყარო	>10,000	4,041	ქვემო ქართლი
4	დმანისი	>10,000	3,427	ქვემო ქართლი
4	ონი	>10,000	3,342	რაჭა ლეჩხუმი / ქვემო სვანეთი
4	ამბროლაური	>10,000	2,541	რაჭა ლეჩხუმი / ქვემო სვანეთი
4	სიღნაღი	>10,000	2,146	კახეთი
4	ცაგერი	>10,000	1,961	რაჭა ლეჩხუმი / ქვემო სვანეთი
4	წალკა	>10,000	1,741	ქვემო ქართლი

3.1.3. განსაზღვრებები

3.1.3.1. გადამცემის კონფიგურაცია

გადამცემების კონფიგურაცია განისაზღვრება ყოველი სადგურისათვის სისტემის ესკიზური პროექტის საფუძველზე.

კონფიგურაციის მონაცემები წარმოადგენს გაგრილების უზრუნველყოფას, დუბლირებასა და გამომავალ სიმძლავრეს (3.2).

3.1.3.2. გადამცემის ხარისხობრივი ღირებულებები

ძირითადი გადამცემის RF სიგნალის ხარისხობრივი ღირებულებებია: MER 32 dB and IMD 37 dB.

3.1.3.3. გაგრილების უზრუნველყოფა

გადამცემებიდან ოთახში გამოფრქვეული სითბო დამუშავდება საჰაერო გამაგრილებლით და ვენტილაციით. აღჭურვილობის განლაგების, გაგრილების მოცულობის სიზუსტისა და წელიწადის დროის გათვალისწინებით შესაძლებელია სითბო შენობის შიგნითაც

შენარჩუნდეს. (რაც რეკომენდირებულია მხოლოდ დაბალი სიმძლავრის ენერჯის შემთხვევაში)

3.1.3.4. გადამცემის სისტემის მონიტორინგი

შერჩეული ლოკაციების მონიტორინგი სადგურის დონეზე გამომავალი RF სიგნალისთვის გაკეთდება.

მონიტორინგის განხორციელების მეთოდი წარმოადგენს სტატიკურ მონიტორინგს ან სკანირებას. გათვალისწინებული იქნება SLA მოთხოვნები რომელიც მოცემულია 41ბ მუხლში. ამასთანავე განხორციელდება სუბიექტური კონტროლი IDTV მონიტორებით.

3.1.3.5. პარამეტრები რომლებიც ექვემდებარება მონიტორინგს:

გადამცემის სისტემებისთვის შესაძლებელია შემდეგი პარამეტრების მონიტორინგი:

DVB TX BOOT ON/OFF

DVB GPS REF. დაკარგული ON/OFF (მიუთითებს სიგნალის არსებობას სინქრონიზაციის მოწყობილობიდან)

DVB TX ON/OFF

DVB TX ტემპერატურის განგაში ON/OFF

DVB TX ელექტრო განგაში ON/OFF

DVB TX გაფრთხილება ON/OFF

DVB TX განგაში ON/OFF

DVB TX ლოკალური ON/OFF

DVB დაკარგულია შემავალი ON/OFF

DVB დაკარგულია შემავალი სიგნალი ON/OFF

DVB მართვის ბლოკის კვანძი ON/OFF (აქტივირდება თუ მოწყობილობის მართვის ბლოკი არ პასუხობს ICMP- ის პინგს ან SNMP- პოლინგს)

შესაძლებელია შემდეგი საკონტროლო ოპერაციების დისტანციურად მართვა:

DVB TX ON

DVB TX OFF

DVB TX RESET

გარე მონიტორინგის აღჭურვილობით შესაძლებელია DVB სიგნალის ტაბულების ანალიზი რაც გაცილებით დეტალური მონაცემების მონიტორინგს ნიშნავს. (ETSI TR 101 290)

RF სიგნალის მონიტორინგით შესაძლებელია ქვევით მოცემულია პარამეტრების კონტროლი, რომელთა გამოყენება შეიძლება SLA მოთხოვნების მიხედვით შერჩეულ ლოკაციებზე. (3.1.3.3).

- TS sync
- Sync byte
- PAT
- დაკრაგული PID (პროგრამული იდენტიფიკაცია)
- PMT
- CRC
- PCR
- CAT
- PTS
- NIT (ქსელური ინფორმაციის ტაბულა)
- SDT
- EIT (მოვლენების ინფორმაციის ტაბულა)

3.1.3.6. სინქრონიზაცია

SFN ქსელების შემთხვევაში გადამცემი სისტემები სინქრონიზებულია. გადამცემი სისტემების სინქრონიზაცია განხორციელდება შესაბამის ინტერფეისზე 1 PPS (პულსი წამში) სიხშირით. სინქრონიზაციის ინფორმაცია მოდის დისტრიბუციის ქსელიდან ქსელური ან ცალკე მოწყობილობის მეშვეობით.

3.1.3.7. დუბლირება

გადამცემი სისტემის დუბლირება აგებულია DTT კონცეფციაზე დაყრდნობით (3.1.2).

მოდულატორის, გადამცემის მართვის პანელისა თუ სხვა ლოგიკური მართვის მოწყობილობების იუპირსებზე და სარეზერვო გენერატორებზე დასმის გამო - გარე ზემოქმედებები (ელექტრო ენერჯის შეფერხებები) არის დაყვანილი მინიმუმამდე.

N	სისტემა	ფუნქცია	დუბლირების საფეხური
1	მოდულატორი	სიგნალის RF სიხშირეზე ერთი მოწყობილობით კონვერტირება	SD

2	მოდულატორი	სიგნალის RF სიხშირეზე ორი მოწყობილობით კონვერტირება (ჩავარდნის შემთხვევაში მოწყობილობებს შორის ავტომატური გადართვა)	DD
3	Tx სისტემა	სიგნალის RF სიხშირეზე კონვერტირება გამომავალი სიმძლარით X კილოვატებში.	Single Tx ერთი გადამც.
4	Tx სისტემა*	სიგნალის RF სიხშირეზე კონვერტირება გამომავალი სიმძლარით კილოვატებში.(ჩავარდნის შემთხვევაში მოწყობილობებს შორის ავტომატური გადართვა)	N+1, 1+1

* N+1 და 1+1 სქემები განხორციელდება პროექტის ფარგლებში, იმ ლოკაციებზე სადაც ლოგიკურია მაღალი დონის უზრუნველყოფის გაწევა, ლოკაციის ძნელად მისაწვდომობის ან სხვა მოთხოვნის გამო.

3.1.3.8. აღჭურვილობის კომუნიკაცია (გადამცემი სისტემა)


ძირითადი ლოკაციების გადამცემი სისტემის კონტროლი და მონიტორინგი ხორციელდება IP კავშირის მეშვეობით. აღჭურვილობის კომუნიკაციისა და განგაშის შეტყობინებები შესაძლებელია შეგროვდეს ცენტრალიზებული მონიტორინგისათვის SNMP შეტყობინებების/გზავნილების მეშვეობით.

აღჭურვილობას ექნება SNMP აგენტი რომელიც განხორციელებს ინფორმაციის მიმოცვლას აპარატურასა და SNMP მენეჯმენტ სისტემას შორის.

- SNMPv1 და SNMPV2c მხარდაჭერა
- შესაძლებელია SNMP პარამეტრების ცვლილებები (მაგალითად მისაწოდებელ სტრიქონების, მიმოცვლის მისამართების, IP პორტების შეცვლა და ა.შ.) დისტანციურად დაუპატენტებელი პროტოკოლითა და აპლიკაციებით. დისტანციურად პარამეტრების ცვლილებებზე წვდომა პაროლითაა დაცული.
- აღჭურვილობის ფიზიკური ინტერფეისი Ethernet-ს წარმოადგენს (10BaseT, 100BaseT, RJ45 კონექტორებით).


3.1.3.9. გადამცემის ტიპები

სისტემის წინასწარი დაგეგმარების შეფასების თანახმად ცნობილია, რომ გამოყენებული იქნება საჰაერო გამაგრებელი სისტემებით აღჭურვილი გადამცემები.



ნახაზი 5 გადამცემის ტიპები

დამატებითი მომსახურების გაწევის შემთხვევაში (დამატებითი მულტიპლექსი) შესაძლებელია მთავარი გადამცემის კარადაში (რეკი) დამონტაჟდეს მეორე გადამცემი.



ნახაზი 6: მულტიპლექსის ტიპის გადამცემი

3.1.3.10. შემრევი / გამტარი ფილტრის დიზაინი

მუქს A -სთვის ყველა გადამცემის RF გამოსასვლელზე მონტაჟდება mask ფილტრი რათა განზორციელდეს DVB სპექტრის გატარება.

დამოკიდებულებით საბოლოო სიხშირის გამოყოფაზე და სხვა სიხშირეთა ფაქტიურ რეალიზაციაზე, ზოგიერთ სადგურს შესაძლოა დასჭირდეს კრიტიკული ფილტრი. ამავდროულად პაჩ-პანელი არ იგეგმება.

შემრევ სისტემაში მეორე ან მეტი მულტიპლექსის დამატების შემთხვევაში, რეკომენდირებულია CIB (დაბალანსებული მუდმივი წინაღობა) შემრევი. CIB შემრევები შესაძლებელია ულიმიტო რაოდენობით კასკადურად დამონტაჟდეს. სისტემის გაფართოების საჭიროების შემთხვევაში მარტივად ყენდება დამატებითი CIB კასკადირება, დამონტაჟდება შესაძლებელია ყველა აპსტრიმი, დაუნსტრიმი მიმართულებით.

შემრევები შესაზლებელია შეუერთდნენ CIB შემრევების ფართოსკალიან შემავალ კონექტორებს.

3.1.3.11. გარემოს შესაბამისი სტანდარტები

მაღალმთიან გარემოში (2000 მეტრი და ზევით) არსებული ლოკაციებისთვის განკუთვნილ გადამცემი სისტემები მეტი სიმძლავრისაა, რადგანაც ცნობილია, რომ სიმაღლეზე სითბოს გაბნევა გაძნელებულია.

3.1.4. გადამცემი სისტემების ეფექტურობა (ენერგო მოხმარება და გაბნეული სითბო)

ახალ 0.7 კილოვატზე მაღალი სიმძლავრის ციფრულ გადამცემს მარგი ქმედების კოეფიციენტი 35% ზე მეტია. უფრო დაბალი სიმძლავრის ციფრული გადამცემების მქკ უფრო ნაკლებია 20% ია.

ენერგიის მოხმარება გამოითვლება სხვადასხვა კლასის სიმძლავრეების შესაბამისად, ზემოთ ნახსენები ინფორმაციის გათვალისწინებით.

სიმძლავრე kW	ციფრული ენერგომოხმარება kW
2	5,7
1	2,8
0,5	1,6
0,2	1
0,05	0,33

საშუალოდ ჰაერის გაგრილების სისტემით აღჭურვილი გადამცემი სისტემების სითბოს გამოყოფა ოთახში შესაძლებელია საშუალოდ შემდეგნაირად დაანგარიშდეს:

სიმძლავრის კლასი kW	0.05	0.2	0.5	1	1.5	2.5
ენერგო მოხმარება	0,33	1	1,67	2,86	4,29	7,14
გაბნეული სითბო kW	0,28	0,8	1,17	1,86	2,79	4,64

3.1.4.1. სტანდარტების სია

თავსებადობის უზრუნველსაყოფად, DVB-T2 გეიტვეი და გადამცემი სისტემის მოწყობილობები უნდა შეესაბამებოდნენ საერთაშორისო ელქტრო ტექნიკური კომისიის ("IEC"), ევროპული ტელეკომუნიკაციების სტანდარტიზაციის ინსტიტუტისა ("ETSI") და ციფრული ვიდეო მაუწყებლობის ("DVB") მიერ ქვემოთ წარმოდგენილ სტანდარტებს:

წყარო	სიგნალის ტიპი	სტანდარტი
DVB-T2 Gateway	DVB-T2 MI	<ul style="list-style-type: none"> DVB A136: Digital Video Broadcasting: Modulator Interface (T2-MI) for a Second Generation Digital Terrestrial Television Broadcast System <p>DVB A136: ციფრული ვიდეო მაუწყებლობა: მოდულატორის ინტერფეისი (T2-MI) მეორე თაობის ციფრული მიწისზედა სატელევიზიო სამუწყებლო სისტემისათვის</p>
Transmitter Network	DVB-T2 Transmission	<ul style="list-style-type: none"> ETSI EN 302 755: Digital Video Broadcasting: Frame Structure Channel Coding and Modulation for a Second Generation Digital Terrestrial Television Broadcast System <p>ETSI EN 302 755: ციფრული ვიდეო მაუწყებლობა: არხის კარკასული სტრუქტურით კოდირება და მოდულაცია მეორე თაობის ციფრული მიწისზედა სატელევიზიო სამაუწყებლო სისტემისათვის</p> <ul style="list-style-type: none"> ETSI TR 101 290: Digital Video Broadcasting: Measurement Guidelines for DVB Systems <p>ETSI TR 101 290: ციფრული ვიდეო</p>

		მაუწყებლობა: DVB სისტემებში გაზომვების სახელმძღვანელო
--	--	----------------------------------------------------------

**3.2. გადამცემების ტექნიკური ჩამონათვალი
(სიმძლავრე, დუბლირება, გაგრილება)**

შექმნილია ქსელის გეგმა, გადამცემების მონაცემები ყოველი ლოკაციისთვის მოცემულია ექსელის ფორმატში.

ადგილმდებარეობა	გადამცემის მონაცემები			
ადგილმდებარეობის დასახელება	გადამცემის დუბლირება	ნომინალური სიმძლავრე kW (Tx სიმძლავრის კლასი)	გაგრილება (საჰაერო / თბევადი)	ყოველი მუქსისთვის საჭირო აუცილებელი Tx სიმძლავრე kW
1. ქუთაისი	DD	2	Air	1,58
2. თბილისი	DD	2	Air	1,58
3. გორი	SD	1,6	Air	1,39
4. ახალქალაქი	SD	2	Air	1,58
5. ბათუმი	DD	2	Air	1,58
6. ყვარული	SD	1,6	Air	1,42
7. დმანისი	SD	1,2	Air	0,98
8. ახალციხე	SD	1,6	Air	1,30
9. ფოთი	SD	0,9	Air	0,82
10. ზუგდიდი	DD	0,9	Air	0,73
11. ბოლნისი	SD	0,6	Air	0,51
12. დედოფლისწყარო	SD	1,6	Air	1,26

13. ჭიათურა	SD	0,3	Air	0,19
14. ბორჯომი	SD	0,4	Air	0,32
15. ბეკამი	SD	0,2	Air	0,16
16. საჩხერე	SD	0,3	Air	0,19
17. ოზურგეთი	SD	0,1	Air	0,09
18. ჩოხატაური	SD	0,1	Air	0,09
19. შუაბევი	SD	0,1	Air	0,09
20. ხულო	SD	0,2	Air	0,19
21. ჩხოროწყუ	SD	0,1	Air	0,09
22. წალენჯიხა	SD	0,3	Air	0,25
23. ჯვარი	SD	0,1	Air	0,09
24. მესტია	SD	0,2	Air	0,13
25. ლენტეხი	SD	0,3	Air	0,25
26. ლაგოდეხი	SD	0,1	Air	0,09
27. სიღნაღი	SD	0,3	Air	0,22
28. ცაგერი	SD	0,2	Air	0,16
29. ცივი	SD	0,2	Air	0,19
30. წალკა	SD	0,2	Air	0,16
31. დუშეთი	SD	0,2	Air	0,13
32. ონი	SD	0,1	Air	0,09
33. ამბროლაური	SD	0,1	Air	0,09
34. ყაზბეგი	SD	0,2	Air	0,19
35. თიანეთი	SD	0,1	Air	0,09
36. ტყიბული	SD	0,1	Air	0,09

37. ბაკურიანი	SD	0,05	Air	0,03
38. ქედა	SD	0,2	Air	0,16
39. აბასთუმანი	SD	0,05	Air	0,03
40. ასპინძა	SD	0,05	Air	0,06
41. ნინოწმინდა	SD	0,05	Air	0,03
42. საგარეჯო	SD	0,05	Air	0,06
რეპიტერები	SD	0,05	Air	0,04


4. სათაო სადგურის დიზაინი (Head End (HE) Design)

4.1. შესავალი

ციფრული ტერესტრიული სატელევიზიო მაუწყებლობის სათაო სადგურები აერთიანებს სტანდარტული და მაღალი გარჩევის სატელევიზიო არხებს MPEG4 კოდირებისა და სტატისტიკური მულტიპლექსირების საშუალებით. ამგვარად, სერვისების მისაწოდებლად ეფექტურად გენერირდება MPTS ნაკადი. სათაო სადგური(ები) დაამუშავებს ასევე PSI და SI მეტამონაცემებს.

4.2. სისტემისა და სერვისების მოთხოვნები

სათაო სადგური (HeadEnd) მაუწყებლებიდან მიიღებს არაკომპრესირებულ baseband სახით SD და/ან HD სტანდარტის ნაკადების სიგნალებს, შესაბამის EPG მონაცემებთან ერთად. HD სერვისი მიეწოდება HD-SDI ფორმატში, რომელიც შეესაბამება SMPTE292M სტანდარტს ნომინალური სიჩქარით 1.485Gbps, ხოლო SD სერვისი შესაბამისად SD-SDI ფორმატით, SMPTE259M სტანდარტის შესაბამისობაში, ნომინალური 270 Mbps სიჩქარით. დაგეგმილი მეტამონაცემები მიეწოდება XML ფორმატში. HeadEnd სადგურთან ეს baseband ნაკადები მონიტორდება მათი ინკოდერებზე მიწოდებამდე. ინკოდერების გამოსასვლელი ნაკადები მიეწოდება მულტიპლექსორებს და შემდეგ მულტიპლექსირებული ნაკადი მიეწოდება T2 გეითვეის (T2 Gateway), მათი T2-MI ფორმატში ინკაპსულაციისათვის. ამის შემდეგ სიგნალი მიეწოდება დისტრიბუციის ქსელს (distribution network). მოწოდებული მეტამონაცემები მიეწოდება PSI/PI გენერატორს და HbbTV სერვერს EPG პლატფორმისათვის.



სურ. 7. DVB-T2 სათაო სადგურის საერთო სქემა

ამგვარად ყველა მაუწყებლის SD/HD-SDI სიგნალები და მათი PI და EIT (event information table) მიეწოდება HeadEnd-ს. MPEG4 ინკოდერებში მიწოდებამდე არაკომპრესირებული ბეისბენდ SDI სიგნალები შეიძლება გატარდეს კადრ-სინქრონიზატორებში (frame synchronizer) და აუდიო დონის მარეგულირებელ პროცესორებში სერვისის ხარისხის კონტროლისა და გამოსწორების მიზნით. ასევე, მაუწყებლების დაგეგმილი ხლომილებების მეტამონაცემები XML სახით მიეწოდება PSI/PI სერვერებს, პლატფორმის EPG სისტემისათვის გადასაცემად.

HeadEnd სისტემის კომპონენტებია:

- საწყისი ბეისბენდ სიგნალების მონიტორინგი
- MPEG-4 ინკოდერები
- სტატისტიკური მულტიპლექსერები
- DVB-T2 GW სისტემა
- პირობითი წვდომის სისტემა CA
- სუბტიტრების სისტემა
- PSI/PI გენერაციის სისტემა
- DSMCC carousels სისტემა
- მენეჯმენტის სისტემა
- ბეისბენდისა და სატრანსპორტო ნაკადების (TS) ანალიზატორი სისტემები.

4.2.1. ბაზრებზე გამოყენებული ოპტიმალური ბიტ-რეიტების მიმოხილვა

სავარაუდოა, რომ არხების საერთო რაოდენობა თითოეულ მულტიპლექსზე შედგება 9 SD და 1 HD სერვისისგან.

HD სიგნალის შესახებ: კარგად ცნობილ 'EBU Technical Report 005 (Information Paper on HDTV formats)' დოკუმენტში შედარებულია ორი ყველაზე გავრცელებული ფორმატი 720p/50 და 1080i/25. თუმცა დოკუმენტში საბოლოოდ დადგენილია 720p/50 სტანდარტის მიზანშეწონილობა, მაინც აღსანიშნავია რომ ტელევიზორების ხარისხის ბოლო წლებში მომატებასთან დაკავშირებით ბოლო დროს უკვე 1080i/25 აღიარებულია დეფაქტო სტანდარტად მთელს მსოფლიოში.

ქვემოთ მოცემულ ტაბულაში მოყვანილია რეკომენდებული სიჩქარეები EBU მიხედვით. ამ დროს ორივე SD და HD სტანდარტებისათვის ნაგულისხმევია H.264/AVC ინკოდირება.

Format	Source coding	Video data rate (Mbit/s)	Program associated data (Mbit/s)	Total data rate for one program (Mbit/s)
SD – 576i/50	H.264/AVC	1.8	0.85	2.65
HD - 720p/50	H.264/AVC	7.0	0.85	7.85
HD - 1080i/25	H.264/AVC	7.5	0.85	8.35
HD - 1080p/50	H.264/AVC	10.0	0.85	10.85

ტაბულა 1. Data rate სერვისის სიჩქარეები (EBU, July 2012)

საქართველო აპირებს SD 576i/50 და HD 1080i/25 ფორმატების გამოყენებას ზემო ტაბულის მონაცემების გამოყენებით. ჩვენი ინკოდერები ასევე შეძლებენ 720p/50 ფორმატში მუშაობას, თუკი ამას მაუწყებელი მოითხოვს, რადგან 720p/50 არის სასურველი/რეკომენდირებული თუ საწყისი სიგნალი სპორტია(ანუ სწრაფად ცვლადი ვიდეო) და ამავე ფორმატშია მოწოდებული.

ტაბულა 1 არის მაუწყებლებისათვის რეკომენდირებული პარამეტრების წყარო.

ქვემოთ მოყვანილ ტაბულა 2-ში მოცემულია მაუწყებლების მიერ რეალურად გამოყენებული ბიტრეიტების სია. შედარებისათვის მოცემულია არხების კონტენტის

ქანობრივი ხასიათი. აღსანიშნავია, რომ რაც მეტი სწრაფი მოძრაობაა, მით მეტი ბიტრეიტებია საჭირო გამოსახულების დეგრადაციის ასაცილებლად.

	საშუა- ლო	საშუა- ლო	სპორ ტ	სპორტ	ნიუსი	ნიუსი	კინო	კინო
Operator, Country (Compression)	HD	SD	HD	SD	HD	SD	HD	SD
DIGITA, Finland (H.264)	6.0-6.5	N.A	7.3-7.9	N.A	5.2-5.6	N.A	5.5 - 5.9	N.A
Teracom, Sweden (H.264)	6.0-6.5	1.2-1.6	7.3-7.9	1.5-1.8	5.2-5.6	1-1.3	5.5-5.9	1.1-1.4
Norkring, Norway (H.264)	6.0-6.5	1.2-1.6	7.3-7.9	1.5-1.8	5.2-5.6	1-1.3	5.5-5.9	1.1-1.4
Kordia, New Zealand (H.264)	8.0-9.0	2.0-3.0	-	-	-	-	-	-
Arqiva, UK (H.264)	7.0-8.0	2.0-3.0	-	-	-	-	-	-
Georgia (Proposed) (H.264)	6.5-7.5	1.4-2.2	7.0-8.0	1.6-2.4	5.2-5.6	1.2-1.6	5.5-5.9	1.4-1.8

ტაბულა 2. საქართველოში რეკომენდებული და მსოფლიოში გამოყენებული ბიტრეიტები


ამგვარად ტაბულა 2 აჩვენებს მსოფლიოში გამოყენებულ რეალურ ბიტრეიტებს H.264/AVC ინკოდირების DVB-T2-ში მაუწყებლობის დროს. საშუალოდ HD თვის გამოყენება 6.0-9.0 Mbps და SD-თვის 1.2-3.0 Mbps. საქართველოში რეკომენდებულია HD 6.5-8.0 Mbps და SD 1.2-1.6 Mbps.

საშუალო მთლიანი ბიტრეიტი HD-სთვის იქნება 8.0 Mbps. HD სერვისი შედგება ერთი ვიდეო და რამდენიმე აუდიო არხისგან, პლუს ოფციონალურად სუბტიტრების და HbbTV კომპონენტისგან. ტიპიურად 7.5 Mbps საშუალო ბიტრეიტი HD სიგნალის მხოლოდ ვიდეო მდგენელისათვის მოგვცემს შესანიშნავ ხარისხს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით რომ გამოყენებული იქნება სტატისტიკური მულტიპლექსირება, როდესაც ვიდეოს ბიტრეიტი დინამიურად გადანაწილდება სხვა იმავე ჯგუფის სერვისებთან.

SD სერვისებისთვის საერთო საშუალო შემოთავაზებული ბიტ რეიტები 2.15 მბტ/წმ იქნება. SD სერვისები შესაძლებელია მოიცავდეს ერთ ვიდეოს და რამდენიმე აუდიო კომპონენტებს, პლუს დამატებით სუბტიტრირებას და HbbTV კომპონენტებს. როგორც წესი 1.7 მბტ/წმ წარმოადგენს SD ვიდეო კომპონენტებისთვის საშუალო ბიტრეიტს და იგი

უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ვიდეოს როდესაც სტატიკურად მულტიპლექსირებულია სხვა ზემოთ აღნიშნულ სერივსებთან ერთად.

ქვევით მოყვანილი ნახ.3 აჩვენებს სტატისტიკური მულტიპლექსირების უპირატესობას. ტაბულა წარმოგვიდგენთ ტიპიურ პროცენტულ ეფექტურობის მატებას სტატისტიკურ მულტიპლექსში არსებულ პროგრამების რაოდენობის ზრდის დროს. ნახაზზე ჩანს, რომ მულტიპლექსში 10 სერვისის არსებობისას ჩვენების ხარისხის მატებამ შესაძლებელია 25%-ს მიაღწიოს მუდმივი ბიტ რეიტის(არა სტატისტიკური მულტიპლექსის) გამოყენების შემთხვევასთან შედარებით.



ნახაზი 8: ტიპიური, სტატიკური მულტიპლექსური გაძლიერება მულტიპლექსი ასევე განაზოცილებს PSI/SI (მათ შორის EPG მონაცემების ჩათვლით), ამ მიზნებისთვის გათვალისწინებული მულტიპლექსში გამოყოფილ იქნეს 1.0 მბტ/წმ. PSI/SI გატარდება ჯვარედინად რათა ყოველთვის, ყველა რესივერისთვის ხელმისაწვდომი იყოს EPG მონაცემები. გარდა ამისა გამოიყოფა დამატებით მცირე რაოდენობის მონაცემების სიჩქარე (მცირე ბიტ რეიტის) რათა არსებობდეს გარკვეული სათადარიგო თავისუფალი სიჩქარე. ასევე უზრუნველყოფილი იქნება მიმღებების DVB-SSU Over-The-Air (OTA) პროგრამული ჩამოტვირთვის სერვისი.

4.2.2. H.264 ინკოდერები და მულტიპლექსერები

ინკოდერები და მულტიპლექსერები კონტროლირებადია სტატიკურად. მონაცემთა ცვლადი სიჩქარის კოდირება (VBR) მეტი არხების მულტიპლექსირების საშუალება იძლევა, თან ისე, რომ თითოეული არხისთვის შენარჩუნდეს ვიდეო გამოსახულების მაღალი ხარისხი. მუქსის სიმძლავრე ასევე გამოყენებული იქნება DVB-PSI/SI ტაბულებისთვის, რადგანაც ისინი გამოიყენებიან მიმღებთა ავტომატური თუნინგისთვის, EPG, CA, NIT-ის განთავსებებისთვის და სხვა.

4.2.3. სუბტიტრების ციფრული გადაცემის სისტემები

DVB სუბტიტრირება არის Bitmap ტიპის გრაფიკული გამოსახულება, რომელიც იკუმშება და იგზავნება DVB სატრანსპორტო ნაკადით არხის ნაკადთან ერთად, როგორც დამოუკიდებელი PID მონაცემები. რადგან ამ შემთხვევაში სუბტიტრი არის გრაფიკული გამოსახულება, მაუწყებლებს ეძლევათ მაზე სრული კონტროლის საშუალება, მიუხედავად ენისა.


DVB სუბტიტრირება აძლევს მაყურებელს საშუალებას ჩართოს ან გამორთოს ნებისმიერი გადმოცემული სუბტიტრი, ანუ თავად აირჩიოს სუბტიტრების ენა, თუკი გადმოიცემა რამოდენიმე ვარიანტი.

4.2.4. ადგილობრივი კონტენტის ჩამატების მახასიათებლები

რეგიონალური კონტენტის ჩასმის მრავალი გზა არსებობს. წარმოგიდგინო ყველაზე გავრცელებულ ორ ვარიანტს:

მრავალჯერადი PLP – (ფიზიკური დონის მილი/არხი) DVB-T2 სტანდარტს აქვს შესაძლებლობა იმაუწყებლოს მაქსიმუმ 255 PLP ყოველ მუქსში. ასე რომ, ერთ მულტიპლექსში მასიმალური MPTS ნაკადი 225-ია.

1. Main HeadEnd მთავარი სათაო სადგური მიაწვდის DVB-T2 MI-ს 2 ან 3 PLP-ს. მთავარი HeadEnd მიაწვდის ერთ ეროვნული მასშტაბის მაუწყებლობის PLP-1-ს და კიდევ ერთ PLP-2 რომელიც განკუთვნილია რეგიონალური კონტენტისთვის. გარდა ამისა ყოველი რეგიონისთვის არის PLP-2-ის საკუთრი შემცვლელი/ჩამანაცვლებელი, რომელიც ჩაანაცვლებს რეგიონალურ PLP-ს და რომელიც ახორციელებს ყველა საჭირო PSI/SI ინფორმაციის მიწოდებას. ამ შემთხვევაში PSI/SI რეგენერირდება მხოლოდ რეგიონალური PLP-2-ისთვის.
2. Main HeadEnd მთავარი სათაო სადგური მიაწვდის DVB-T2 MI-ს მხოლოდ ერთ PLP-ს, ყველა რეგიონისათვის ერთიდაიგივე კონტენტის მისაწოდებლად. ყველა რეგიონში DVB-T2 MI დე-მულტიპლექსდება და შემდეგ რე-მულტიპლესდება ადგილობრივი რეგიონის H.264-ში ინკოდირებულ სერვისთან(ებთან) ერთად. ამ დროს PSI/SI გენერირდება მხოლოდ გლობალური PLP-ისთვის, ანუ რეგიონული მეტამონაცემები ჯერ გადაეწოდება მთავარ სათაო სადგურს.



სურათი 9: რეგიონებში რე-მულტიპლექსირების ზოგადი დიაგრამა

აღსანიშნავია, რომ დისტრიბუცია(კონტრიბუციისათვის) გამოიყენება მიკროტალღოვანი სარელეო ან ოპტიკური ლინკები. სათადარიგო ტრანსპორტად გამოყენება სატელიტური კავშირი. ყველა საიტზე დგას საკუთარი სატელიტური მიმღები. რე-მულტიპლექსირება გამოიყენება როგორც მთავარი და სათადარიგო სატრანსპორტო ნაკადების ავტომატური გადართვებისათვის ასევე ადგილობრივი კონტენტის დამატებისათვის. როგორც ავღნიშნეთ რემუქსის სისტემას გააჩნია ადგილობრივი EPG-ს დამატების საშუალებაც.

4.2.5. პროგრამის ელექტრონული გიდი EPG

EPG დაგეგმილი ციფრული სამაუწყებლო პლატფორმის მნიშვნელოვანი ნაწილია. იგი ემსახურება მაყურებლებს და საშუალებას აძლევს მათ დაათვალიერონ, მოძებნონ და წინასწარ გაეცნონ ყველა მაუწყებლის მიერ დაგეგმილ საეთერო პროგრამებს. EPG ინფორმაცია იქნება მისაწვდომი წინასწარ 7 დღით ადრე, რაც ანალოგური მაუწყებლობის დროს შეუძლებელია. ზოგადად EPG გვთავაზობს არხების დიდ რაოდენობას და ეხმარება მაყურებლებსა და მაუწყებლებს ახალი კონტენტის მოძებნა-აღმოჩენაში.

ამ შემთხვევაში DVB-SI სტანდარტი იქნება გამოყენებული: EPG გავრცელება განხორციელდება შესაბამისი ტაბულების სახით DVB-SI სპეციფიკაციის თანხვედრით.

რესივერები გაშიფრავენ ამ ტაბულებს და მოთხოვნისამებრ გამოიტანენ ეკრანზე თავიანთი გრაფიკული ღიზინის ფარგლებში.

4.2.6. დროის სიგნალის (Master Sync Clock MSC) და საყრდენი სიხშირის გენერატორი

HeadEnd დისტრიბუციის ქსელი და გადამცემები საჭიროებენ ზუსტ დროით ინფორმაციას. ურთიერთ სინქრონული მუშაობის უზრუნველსაყოფად, რადგან სატელიტის GPS სიგნალი ყოველთვის არაა მისაწვდომი (მეტეოროლოგიური ან სხვა ხელშეშლების გამო) GPS-გან დამოუკიდებელი ზუსტი დროისა და სინქრონიზაციის საყრდენი სიგნალების ალტერნატიული წყაროა დაგეგმილი. ამავე დროს თუ გამოიყენება GPS, მაშინ იგი დაინსტალირდება HeadEnd-თან და შემდგომ დისტრიბუციის ქსელით გადაეცემა ყველა გადამცემთან DVB-T2 SFN ადაპტერებზე.

Mux A+1 შემთხვევაში SFN ტიპის ქსელის აგებისას, ცხადია გლობალური სინქრონიზაციის სიგნალის მეშვეობით მოხდება ადგილობრივი აპარატურის დასინქრონება.

4.2.7. პირობითი წვდომის სისტემა (CAS)

გამოყენებული Smart Card სისტემა იძლევა დამატებით დაცვებს როგორცაა ჩიფსეტთან შეწყვილება (Chipset pairing), სამ შრიანი კარტების სისტემა (three layer card issuing) და მრავალ დონიანი შიფრაცია. CAS სისტემა ურთიერთობს მულტიპლექსორთან სადაც ხდება ნაკადების ფიზიკური შიფრაცია.

4.2.8. მომხმარებელთა მენეჯმენტის სისტემები (SMS)

SMS სისტემა საწყისი დონის მომხმარებელთა მართვის სისტემაა, რომელიც აძლევს საშუალებას ფასიანი კონტენტის (Pay TV) ოპერატორებს მართონ თავიანთი მყურებლების ანგარიშები. ეს სისტემა იძლევა მომხმარებელთა მონაცემებთან წვდომას და მათი არხების პაკეტების შექმნა/წაშლა/რედაქტირების საშუალებას.

ეს სისტემა აშენდება იმგვარი არქიტექტურით რომ ადვილი იქნება მისი ინტეგრაცია სხვა აუცილებელ სისტემებთან, მაგალითად ბილინგის სისტემასთან. ანუ მას ექნება სპეციალური ინტერფეისები მონაცემთა იმპორტისა და ექპორტისათვის.

4.2.9. 24/7 ლოგირების სისტემა

განხორციელდება 24/7 ტიპის ლოგირება და არქივაცია მულტიპლექსერებიდან გამომავალი ტრანსპორტ სტრიმების ინფორმაციისა. ყველა SD და HD არხები მუდმივად

გაანალიზდება ETR290 1, 2, 3 პრიორიტეტით. მთელი გაანალიზებული კონტენტი შეიძლება იყოს მოგვიანებით გამოცხადებული დამატებითი კვლევისათვის SLA შესაბამისობის დასადგენად.

4.2.10. დუბლირების დონის მოთხოვნები

საიმედოობის მაღალი დონის, ანუ 99.97% მისაღწევად HeadEnd-ის თითოეული კომპონენტი საჭიროებს გარკვეულ დუბლირებას ან N+M ან 1+1 პრინციპით, არც ერთი უნიკალური კრიტიკული რგოლის დაშვებით, ანუ ყველა მოწყობილობა ან სერვისის ფიზიკურად დუბლირდება მინიმუმ ერთხელ. ასეთი მიდგომა გვაძლევს კრიტიკული ღირებულების სერვისების უწყვეტობას რეალური მუშაობის პირობებში. HeadEnd-სა და მისი კვების წყაროების დიზაინი იძლევა Uptime Institute Tier III სპეციფიკაციებთან შესაბამისობას, ასევე მთლიანი IP ქსელი კონფიგურირებულია ავტომატურ გადასვლაზე მეორადი ბირთვის სვიჩებზე თუკი პირველადი ქსელი დაეცემა.

მოყვანილი ცხრილი აჩვენებს მოწყობილობათა დუბლირების ფაქტორებს თითოეული მუქსისათვის.

Item	System	Functions	Redundancy Level
1	H.264 Encoders	ახდენს ერთი არხის H.264 ფორმატში ინკოდირებას	N+M
2	Multiplexers	ახდენს ყველა არხის სტატ. მულტიპლექსირებას (MPTS)	1+1
4	DVB-T2 Gateway	გარდაქმნის MPTS სტრიმს T2-MI ფორმატში მისი დისტრიბუციის ქსელში გაშვებამდე	1+1
5	Network Switches	მთავარი და სათარიგო IP ქსელების LAN ნაწილი	1+1

ტაბულა 5: დუბლირების დონეები

4.3. მოწყობილობების მართვა

მენეჯმენტის ანუ მართვის სისტემა მუდმივად გააკონტროლებს ქსელის ყველს მოწყობილობას და ახორციელებს ხარვეზების ავტომატურ დაფიქსირებას, სათადარიგო მოწყობილობებზე გადართვასა და შესაბამისი სისტემებისა და აპარატურის კონფიგურაციას.

- ინკოდერებისა და მულტიპლექსორების ფროფაილების კონფიგურაცია
- ყველა მოწყობილობიდან ალარმის სიგნალის ერთ ადგილზე თავმოყრა
- სათადარიგო მოწყობილობებზე ავტომატური გადართვა
- სისტემის მდგრადობის მონიტორინგი SLA გადასაცემად

4.3.1. SNMP მართვა

Simple Network Management Protocol (SNMP) IP ინტერფეისების მქონე მოწყობილობების მონიტორინგის სტანდარტული პროტოკოლია.

სისტემური შეცდომები (Alarm), სტატუსების ინფორმაცია და ყველა მოწყობილობის კონტროლი თავმოყრილია SNMP სერვერზე, და ეს სერვერი ქსელის ზედამხედველების ძირითადი ინსტრუმენტია. სერვერი ინახავს საჭირო ინფორმაციას შესაბამის ბაზებში შემდგომში სტატისტიკური ანალიზისა და SLA-თვის.

ყველა მოწყობილობას უნდა ჰქონდეს SNMP ფუნქციონალი (შიდა აგენტი) მასა და მართვის SNMP სისტემას შორის ინფორმაციის მიღება-გაგზავნისათვის. მოწყობილობები უნდა შეესაბამებოდენ შესაბამის სტანდარტებს:

- SNMPv1
- SNMPv2c
- SNMPv3
- MIB-2 (RFC1213 and RFC1573)

მოწყობილობათა ფიზიკური ინტერფეისი ეზერნეტია Ethernet 10BaseT, 100BaseT. RJ45 კონტექტორით.

ორივე Get / Set SNMP სტრიქონები უნდა იყოს შეცვლადი, ხოლო მათი სიგრძეები უნდა აღემატებოდეს 16 სიმბოლოს.

Traps (გზავნილები)

SNMP აგენტმა უნდა გააგზავნოს მიმდინარე on-going გზავნილი ალარმის ანთებიდან ან მოწყობილობის სტატუსის შეცვლის მომენტიდან 1-2 წამში მაინც. ასევე აგენტმა უნდა გაგზავნოს off-going გზავნილი ასევე სწრაფად მას შემდეგ რაც ალარმი მოიხსნება და/ან მოწყობილობის სტატუსი დაუბრუნდება საწყისს. ეს off-going გზავნილები იგზავნება ასევე "RESET" ბრძანების შემდეგაც, თუკი სტატუსი ან ალარმის შეიცვლება.

აგენტს უნდა გააჩნდეს მინიმუმ ორი კონფიგურირებადი გასაგზავნი დანიშნულება.

ადმინისტრატორს უნდ შეეძლოს დააკონფიგურიროს თუ სად, რა დანიშნულებისავენ გაიგზავნება შეტყობინებები.

მთელი სისტემის დონის გზავნილები უნდა შეიცავდეს Enterprise object ID კონკრეტული მოწყობილობის OID-ს (Object ID).

ყოველი ალარმი უნდა გაიგზავნოს როგორც on/off სტატუსის დამოუკიდებელი გზავნილი. გზავნილის სტატუსი უნდა იყოს წაკითხვადი SNMP GET გამოყენებით.

Commands (ბრძანებები)

უნდა იყოს შესაძლებელი გაგზავნილი ბრძანების სტატუსის წაკითხვა მისი OID მიხედვით.

გარდა ამისა თუკი ბრძანება გამოიწვევს სხვა ალარმების ან სტატუსების ცვლას ამის შესახებ უნდა იგზავნებოდეს დამოუკიდებელი გზავნილები, როგორც ზემოთაა აღწერილი.

სისტემის საკუთარი სამართავი სისტემა

რადგან სისტემას გააჩნია საკუთარი მართვი სისტემა, ინტეგრაცია მენეჯმენტის/მონიტორინგის სერვერთან უნდა ხორციელდებოდეს SNMP-ს გამოყენებით.

4.4. Head End სისტემის ტექნიკური აღწერილობა

4.4.1. ინკოდერების მახასიათებლები

- Video encoding support - ვიდეო ინკოდიინგი
- H.264 HD 4:2:0 8 bit 1-20 Mbit/s
- 1920/1440 x 1080i 25
- 1280/960 x 720p 50
- MPEG-4 SD 4:2:0 8 bit 0.5-10 Mbit/s
- 720/704x576i
- 3G/HD/SD-SDI, video input support - ვიდეოს შესასვლელი ინტერფეისი
- (DPI) Digital Program Insertion SCTE 104 / 35 support
- Audio Encoding support - აუდიოს ინკოდიინგი
- Up to 4 stereo pairs - აუდიო არხების რაოდენობა
- MPEG-1 Layer II encoding per channel
- AAC or HE-AAC encoding per channel
- AC-3 pass-through support
- AC-3 and E-AC3 support
- Embedded (SDI) and AES-EBU audio input support
- MPEG-2 TS support with 188 packet size VANC data extraction and support for generic VANC (SMPTE 2038)
- Dual Power Supply support - ორმაგი კვების ბლოკი

4.4.2. მულტიპლექსერის მახასიათებლები

- MPEG-2 TS support with 188 packet size
- Dual Power Supply support
- IPv4 support
- ASI (Asynchronous Serial Interface) Input / Output
- Automatic Redundancy to backup multiplexer.

4.4.3. ადგილობრივი კონტენტის ჩამატების მახასიათებლები

- DVB-T2 MI decrypter
- SFN synchronization
- PLP re-inserter
- PSI/SI generator for regional channel - ადგილობრივი PSI/SI გენერატორი

4.4.4. PSI მახასიათებლები

- (PAT) Program Association Table
- (PMT) Program Map Table
- (CAT) Conditional Access Table
- (NIT) Network Information Table
- (SI) Service Information requirements
- (SDT) Service Descriptor Table
- Cross-Carriage of SI information between multiplexers

4.4.5. EIT ტაბულა

- Schedule up to 14 days information - 14 დღემდე ინფორმაცია
- Now and next schedules - ამჟამად ეთერშია და შემდეგ
- Actual and other schedules - მიმდინარე და სხვა ცხრილები
- Multilanguage support - რამოდენიმე ენის შესაძლებლობა

4.4.6. DSM-CC carousel მახასიათებელი

- Over The Air ("OTA") Downloads - ანუ რესივერების პროგრამული კოდის და/ან მეტამონაცემების უშუალოდ ეთერიდან მიღება.

4.4.7. ციფრული ტელეტექსტისა და სუბტიტრების გადამცემი სისტემა

- Multilanguage support - რამოდენიმე ენის შესაძლებლობა
- DVB subtitling
- Teletext subtitling

4.4.8. საათის სინქრო სიგნალისა და სიხშირის გენერატორი

- 1PPS
- 10 MHz
- NTP time - ლოკალური ქსელით NTP დროზე წვდომა

4.4.9. Baseband სისტემების მონიტორინგი

- Audio level monitoring - აუდიოს დონის მონიტორინგი
- Subtitling monitoring - სუბტიტრების მონიტორინგი
- HD/SD SDI monitoring.- სიგნალის ზოგადი მონიტორინგი
- Waveform monitoring - ვიდეო სიგნალის ფერთა ბალანსის მონიტორინგი
- Visual monitoring of all channels "Mosaic picture" - ყველა სიგნალის ვიზუალური მონიტორინგი.

4.4.10. სატრანსპორტო ნაკადების (TS) მონიტორინგი

- გამომავალი TS სატრანსპორტო ნაკადის მონიტორინგი ETR 290 priority 1,2,3.

4.5. დასაკმაყოფილებელი სტანდარტების სია

მიწისზედა ციფრული მაუწყებლობის ტექნიკური სტანდარტები

